

## პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი

### შინაარსი

|                                                                           |    |
|---------------------------------------------------------------------------|----|
| შესავალი.....                                                             | 1  |
| 1.პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი .....             | 2  |
| 2.მონაცემთა დამუშავების პრინციპები .....                                  | 2  |
| 3.პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზანი .....                        | 3  |
| 4.როგორ ხდება პერსონალური მონაცემების მოპოვება:.....                      | 4  |
| 5.პერსონალურ მონაცემთა დამუშავება პირდაპირი მარკეტინგისთვის .....         | 4  |
| 6.მონაცემთა ცალკეული კატეგორიები, დამუშავების მიზნები, საფუძვლები და ვადა | 5  |
| 7.მონაცემთა სუბიექტის უფლებები.....                                       | 7  |
| 8.არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვა .....                     | 8  |
| 9.გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემების დამუშავება .....                  | 9  |
| 10.მონაცემთა უსაფრთხოება .....                                            | 9  |
| 11. მონაცემთა გადაცემა მესამე მხარისთვის .....                            | 9  |
| 12.„მზა-ჩანაწერები“ (Cookies) პოლიტიკა .....                              | 10 |
| 13.ვიდეო და აუდიო მონიტორინგის წესი .....                                 | 10 |
| 14. ინციდენტზე რეაგირების წესი.....                                       | 10 |
| 15.პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა .....                       | 10 |
| საკონტაქტო ინფორმაცია .....                                               | 11 |

### შესავალი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი აღწერს შპს „ელთ ბილდინგი“-ს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესს და დამუშავების პროცესში მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დაცვის გარანტიებს.

შპს „ელთ ბილდინგი“ პატივს სცემს საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი სტუმრების, დასაქმებულებისა და ჩვენთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირების კონფიდენციალურობის დაცვა. შესაბამისად, მივმართავთ უსაფრთხოების საჭირო ყველა საორგანიზაციო და ტექნიკურ ზომას თქვენი პერსონალური მონაცემების დაცვისათვის.

თქვენი პერსონალური მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

თქვენ უფლება გაქვთ, ზემოაღნიშნული რეგულაციების საფუძველზე, მოგვთხოვოთ ინფორმაცია ჩვენს მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.

ჩვენ მზად ვართ პირველივე შესაძლებლობისთანავე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მოგაწოდოთ თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

## 1. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი

კომპანიის დასახელება: შპს „ელთ ბილდინგი“ (შემდგომში „კომპანია“ )  
საიდენტიფიკაციო ნომერი: 445471285  
მისამართი: ქ.ბათუმი, რეჯებ ნიჭარაძის ქ. N18, კომერციული ფართი N1  
ტელეფონის ნომერი: 0422 40 00 10  
ელექტრონული ფოსტა: [info@laquintabatumi.com](mailto:info@laquintabatumi.com)

## 2. მონაცემთა დამუშავების პრინციპები

2.1 მონაცემების დამუშავების პროცესში კომპანია იცავს შემდეგ პრინციპებს:

ა)კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპი – კომპანია ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ კანონით დადგენილი წესებითა და საფუძველზე. იგი უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტების უფლებების სათანადო დაცვას თანასწორობის (დისკრიმინაციის გამორიცხვის) პრინციპის დაცვით;

ბ)გამჭვირვალობის პრინციპი – მონაცემთა დამუშავების პროცესი გამჭვირვალეა მონაცემთა სუბიექტისთვის. თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მიმართოთ და მიიღოთ ინფორმაცია თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში;

გ)მიზნის შეზღუდვის პრინციპი – კომპანია ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ იმ კონკრეტული მიზნით რა მიზნითაც მოხდა მათი მოპოვება.

დ)მონაცემთა მინიმუზაციის პრინციპი – მონაცემებს დამუშავება ხდება მხოლოდ იმ მოცულობით რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად, მიზნისა და მონაცემთა მოცულობის თანაზომიერების გათვალისწინებით;

ე)მონაცემთა სიზუსტის პრინციპი - კომპანია ზრუნავს რომ მასთან დაცული პერსონალური მონაცემები იყოს ზუსტი და ნამდვილი. არაზუსტი მონაცემები

დაუყოვნებლივ სწორდება ან იშლება, როგორც მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის საფუძველზე, ასევე კომპანიის მიერ შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში;

ვ) ვადის შეზღუდვის პრინციპი – კომპანია ინახავს მონაცემებს მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად. პერსონალურ მონაცემთა შენახვისათვის კომპანია წინასწარ განსაზღვრავს კონკრეტულ ვადას ან უთითებს ვადის განსაზღვრის კრიტერიუმს;

ზ) მონაცემთა უსაფრთხოების პრინციპი – მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას კომპანია იღებს ისეთ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.

### 3. პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზანი

3.1 პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნები გამომდინარეობს კომპანიის საქმიანობის სფეროდან და დაკავშირებულია მომსახურების /პროდუქტების მიწოდებასთან, მომსახურების/პროდუქციის და მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებასთან, უსაფრთხოების ზომების დაცვასთან და კომპანიაში დასაქმებული პირების შრომითი საქმიანობის განხორციელებასთან. პერსონალური მონაცემები მუშავდება შემდეგი კონკრეტული მიზნებით:

- ა) შემოთავაზებული პროდუქტებისა და სერვისების მიწოდებისთვის;
- ბ) ავტომატური გადახდის პროცედურების ჩატარებისთვის;
- გ) ხელშეკრულების, გარიგების დასადასტურებლად;
- დ) შრომითი ურთიერთობებისთვის კომპანიაში დასაქმებულ პირებთან;
- ე) მომხმარებლებისათვის სპეციალური შეთავაზებებისა და მარკეტინგის მიზნებისათვის;
- ვ) სასტუმროს ტერიტორიაზე ღონისძიებების ჩატარებისთვის;
- ზ) ანალიტიკური და სტატისტიკური მიზნებისთვის, იმის გასაგებად, თუ როგორ ურთიერთობენ მომხმარებლები კომპანიის ვებ გვერდთან;
- თ) პროდუქტების და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა კვლევის ჩასატარებლად; იმის შესასწავლად, თუ როგორ იყენებენ მომხმარებლები კომპანიის პროდუქტებსა და მომსახურებას;
- ი) მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და მომხმარებლის სურვილების გათვალისწინებისათვის;
- კ) უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვისთვის;
- ლ) სასტუმროს წესების დარღვევისას რეაგირებისთვის.

#### 4. როგორ ხდება პერსონალური მონაცემების მოპოვება:

4.1 პერსონალური ინფორმაციის მოპოვება სასტუმროს ვიზიტორების შესახებ:

ა) მონაცემთა სუბიექტისგან სასტუმროს ნომრების ონლაინ, საკომუნიკაციო ცენტრის მეშვეობით დაჯავშნის ან ადგილზე მომსახურების შეძენის დროს. ამავე გზით გროვდება ინფორმაცია თანხმობის პირების შესახებ, მათივე თანხმობით.

ბ) მომსახურების საფასურის ონლაინ გადახდის დროს.

გ) ვებ გვერდებისგან (მაგ. Booking.com), რომელთა მეშვეობითაც ხდება სასტუმროს ნომრების დაჯავშნა, მათთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

დ) ვებ გვერდზე რეგისტრირებული წევრების შესახებ

ე) სასტუმროს ვებ გვერდზე რეგისტრირებისას, მოვიპოვებთ მონაცემებს მონაცემთა სუბიექტისგან, რომელსაც თავად შეყავს მონაცემები და შესაბამისი ველის მონიშვნით ადასტურებს თანხმობას პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე.

4.2 კომპანიის ვებ გვერდის ვიზიტორების შესახებ:

ა) ვებ გვერდზე სტუმრობისას კომპანია არ აგროვებს ინფორმაციას „მზა-ჩანაწერებს“ (Cookies).

4.3 შრომით ურთიერთობაში მყოფი პირების შესახებ პერსონალური ინფორმაციის მოპოვება, ხდება:

ა) დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად და ასევე შრომითი ხელშეკრულების დასადასტურებლად პერსონალურ მონაცემები მოპოვება ხდება მონაცემთა სუბიექტებისგან, ასევე მათ მიერ მითითებული რეკომენდატორებისგან.

4.4 სასტუმროში გამართულ ღონისძიებებში მონაწილე პირების შესახებ პერსონალური ინფორმაცია:

ა) სასტუმროს საკონფერენციო სივრცით ხელშეკრულების ფარგლებში სარგებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულებაში მონაწილემ მხარემ შესაძლოა მოგვაცოდოს ღონისძიებაში მონაწილე პირების შესახებ ინფორმაცია (სახელები და გვარები) მათი შენობაში დაშვების მიზნით.

4.5 უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით კომპანიის შენობაში და მის გარე პერიმეტრზე ხორციელდება ვიდეო მონიტორინგი. ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი თვალსაჩინოდ განთავსებულია. დასაქმებული პირები დამატებით, წერილობით არიან გაფრთხილებულნი ვიდეომონიტორინგის განხორციელების შესახებ.

4.6 რესტორნის მომხმარებლების/კვების ობიექტების მომსახურებით მოსარგებლე პირების/ მონაცემთა სუბიექტების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხდება მათ მიერ ადგილის დაჯავშნის (ფიზიკურად, სატელეფონო ზარებით ან დაჯავშნის აპლიკაციის გამოყენებით) და განხორციელებული გადახდის დროს.

#### 5. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება პირდაპირი მარკეტინგისთვის

5.1 პირდაპირი მარკეტინგის მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხდება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებული, წერილობითი თანხმობის საფუძველზე სპეციალური ფორმის მეშვეობით. თანხმობის გაცემამდე მონაცემთა სუბიექტს მიეწოდება შემდეგი ინფორმაცია: ვინ არის პერსონალურ მონაცემთა

დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი; პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის შემთხვევაში პირდაპირი მარკეტინგის მიზნით რომელი პერსონალური მონაცემები მუშავდება; მონაცემთა დამუშავების კონკრეტული მიზნები; რა ფორმით მიიღებენ შეტყობინებებს/ინფორმაციას კომპანიიდან; პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიები; პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებები; პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ვადა; თანხმობის გამოხმობა და გამოხმობის მექანიზმები; თანხმობის გამოხმობის შედეგები.

5.2 პირდაპირი მარკეტინგი გულისხმობს მონაცემთა სუბიექტებისათვის (საქართველოს კანონით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ - ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომლის შესახებაც მუშავდება მონაცემები) სხვადასხვა ხასიათის შეტყობინებების/შეთავაზებების გაგზავნას;

5.3 მონაცემთა სუბიექტების თანხმობის შემთხვევაში, კომპანია გამოგიგზავნით თქვენთვის პერსონალიზებულ, თქვენზე მორგებულ, უნიკალურ შეთავაზებებს და თქვენთვის საინტერესო ფასდაკლებებს.

5.4 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამუშავებელს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა, წერილობითი შეტყობინების ელ-ფოსტაზე: [info@laquintabatumi.com](mailto:info@laquintabatumi.com) გამოგზავნის გზით, რაზედაც მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად - მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

5.5 პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავებული პერსონალური მონაცემები ინახება პირდაპირი მარკეტინგის თაობაზე მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გაცემიდან პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების ვადით თანხმობის გამოხმობამდე.

## 6. მონაცემთა ცალკეული კატეგორიები, დამუშავების მიზნები, საფუძვლები და ვადა

| პერსონალური მონაცემები                                                                                                                     | პერსონალური მონაცემების მოპოვების გზები                                                                                                          | პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძველი                                                                    | პერსონალურ მონაცემთა შენახვის ვადა                                                                                           |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სასტუმროს ან/და რესტორნების ვიზიტორების სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა, მისამართი, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, პასპორტის ნომერი | მონაცემთა სუბიექტის მიერ გაზიარების საფუძველზე (სასტუმროს, რესტორნების ფიზიკურად, ონლაინ დაჯავშნის აპლიკაციის ან საკომუნიკაციო ცენტრის მეშვეობით | ხელშეკრულების დადება<br><br>შეთავაზებული პროდუქტების და მომსახურების მიწოდება<br><br>სპეციალური შეთავაზებების | ხელშეკრულების დასადასტურებლად მხარეთა მიერ გაზიარებული მონაცემები ინახება სახელშეკრულებო ურთიერთობის ვადით და სახელშეკრულებო |

|                                                                                                                          |                                                                                                                                                                                                         |                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                                                                                                          | <p>დაჯავშნისას, გადახდის განხორციელებისას, პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების დოკუმენტის შევსებისას)</p> <p>სასტუმროს ონლაინ დაჯავშნისას (მაგ: booking.com) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.</p> | <p>გაგზავნისათვის (პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების მიზნით)</p> <p>მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კვლევების ჩატარებისათვის</p> | <p>ურთიერთობის დასრულებიდან 2 წლის ვადით</p> <p>პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მოგროვილი მონაცემები ინახება თანხმობის გამოხმობამდე.</p> <p>მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით (კვლევების ჩასატარებლად) მოგროვილი ინფორმაცია ინახება აღნიშნული მიზნის ამოწურვამდე, მაგრამ არაუმეტეს 2 წლის ვადით</p> |
| <p>ფინანსური მონაცემები (მოიცავს გადამხდელი ბარათის ნომერს, მფლობელის შესახებ ინფორმაციას, ბარათის მოქმედების ვადას)</p> | <p>მონაცემთა სუბიექტისგან (მომსახურების ფარგლებში)</p>                                                                                                                                                  | <p>გადახდის განხორციელებიბსას</p>                                                                                                              | <p>მომსახურების დასრულებიდან 2 წლის ვადით</p>                                                                                                                                                                                                                                                             |
| <p>სასტუმროს ვიზიტორის მიერ მომსახურებით სარგებლობის შესახებ ინფორმაცია და მის მიერ მომსახურების ხარისხის შეფასება</p>   | <p>ვებ-გვერდიდან სუბიექტის თანხმობით</p>                                                                                                                                                                | <p>სტატისტიკის წარმოება, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება</p>                                                                                | <p>თანხმობის გამოხმობამდე</p>                                                                                                                                                                                                                                                                             |
| <p>ვებ-გვერდის სარგებლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია; მარკეტინგული</p>                                                 | <p>მზა ჩანაწერები (cookies)</p>                                                                                                                                                                         | <p>სტატისტიკის წარმოება, მომსახურების</p>                                                                                                      | <p>ბრაუზერის პარამეტრებში მომხმარებლის მიერ წაშლამდე.</p>                                                                                                                                                                                                                                                 |



| და საკომუნიკაციო<br>მონაცემები                                                                                                                            |                                                                    | ხარისხის<br>გაუმჯობესება                                                                       |                                                                                               |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------|
| ინფორმაცია<br>სასტუმროში/რესტორნებში<br>ჯავშნების, ვიზიტორების<br>ჩამოსვლის და გამზავრების<br>თარიღების მათ მიერ<br>განხორციელებული<br>შეკვეთების შესახებ | მონაცემთა<br>სუბიექტების მიერ                                      | მომსახურების<br>ხარისხის<br>გაუმჯობესებისათვის,<br>გადახდის<br>ანგარიშსწორების<br>მიზნებისთვის | ანალიტიკური<br>მიზნებისთვის და<br>გადახდის<br>ანგარიშსწორების<br>მიზნებისთვის 2<br>წლის ვადით |
| დასაქმებულების მიერ<br>გაზიარებული<br>პერსონალური ინფორმაცია<br>„დასაქმებული პირების<br>პერსონალური ინფორმაციის<br>დამუშავების პოლიტიკის<br>შესაბამისად“  | დასაქმებულის მიერ<br>გაზიარებული<br>ინფორმაცია /<br>რეკომენდატორის | შრომითი<br>ხელშეკრულება                                                                        | შრომითი<br>ურთიერთობის<br>პერიოდი და<br>შრომითი<br>ხელშეკრულების<br>შეწყვეტიდან 1<br>წელი     |
| აპლიკანტების -<br>„დასაქმებული პირების<br>პერსონალური ინფორმაციის<br>დამუშავების პოლიტიკის<br>შესაბამისად“                                                | აპლიკანტის მიერ<br>გაზიარებული<br>ინფორმაცია /<br>რეკომენდატორის   | შრომითი<br>ხელშეკრულების<br>დადების მიზნით                                                     | 1 წელი                                                                                        |
| მონაცემთა სუბიექტის<br>აუდიო/ვიდეო<br>გამოსახულება, ჩანაწერი                                                                                              | ვიდეო მონიტორინგის<br>ჩანაწერები                                   | უსაფრთხოების<br>უზრუნველყოფა,<br>საკუთრების დაცვა                                              | 30 დღე                                                                                        |

## 7. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

7.1 კომპანია იცავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გარანტირებულ პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებებს. მონაცემთა სუბიექტის უფლებებია:

ა) მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება:

მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება მოითხოვს და კომპანია არაუგვიანეს 10 დღისა მიაწვდის შემდეგ ინფორმაციას: მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება, მონაცემთა დამუშავების საფუძველი და მიზანი; მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყარო; მონაცემთა შენახვის ვადა.

ბ) მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება:

მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს კომპანიის მიერ დამუშავებული, მისი პერსონალური მონაცემების ასლები უსასყიდლოდ.

გ)მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება:

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოგვთხოვოს მის შესახებ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება. კომპანია გაასწორებს შეცდომას, როგორც მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის საფუძველზე ასევე შეცდომის მის მიერ აღმოჩენის შემთხვევაშიც და ამის შესახებ შევატყობინებთ მონაცემთა სუბიექტს, გარდა იმ შემთხვევისა თუ შეცდომა არის ტექნიკური ხასიათის.

დ)მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება:

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება. მოთხოვნა უნდა შესრულდეს არაუგვიანეს 10 დღისა. მონაცემთა სუბიექტს უარი ეთქვას მონაცემთა წაშლასა და განადგურებაზე შეიძლება უარი ეთქვას მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში.

ე)მონაცემთა დაბლოკვის უფლება:

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მონაცემთა დაბლოკვა, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება: მონაცემთა სუბიექტი სადავოს ხდის მონაცემების ნამდვილობას ან სიზუსტეს; მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა მონაცემთა სუბიექტი ეწინააღმდეგება მათ წაშლას და ითხოვს მონაცემთა დაბლოკვას; მონაცემები საჭირო აღარ არის მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა მონაცემთა სუბიექტს ისინი სჭირდება საჩივრის/სარჩელის წარსადგენად; მონაცემთა სუბიექტი მოითხოვს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას და მიმდინარეობს ამ მოთხოვნის განხილვა; არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა. მონაცემთა სუბიექტს მონაცემთა დაბლოკვაზე შეიძლება უარი ეთქვას მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში.

ვ)თანხმობის გამოხმობის უფლება:

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა. თუ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარდა მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ არსებობს, თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშალოს ან განადგურდეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, თანხმობა გამოიხმოს იმავე ფორმით, რომლითაც თანხმობა განაცხადა. მონაცემთა სუბიექტს მიეწოდება ინფორმაცია თანხმობის გამოხმობის შედეგების თაობაზე.

## 8. არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვა

8.1 არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემებს კომპანია ამუშავებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად, მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე, არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.



## 9. გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემების დამუშავება

9.1 გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემები მუშავდება კომპანიის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისა და კომპანიის სახელშეკრულებო უფლებამოსილებების/ინტერესების რეალიზაციის მიზნით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

## 10. მონაცემთა უსაფრთხოება

10.1 კომპანია უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტების მონაცემების უსაფრთხო დაცვას და ამისათვის მიმართავს ყველა საჭირო ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომას.

10.2 კომპანია იცავს პერსონალური მონაცემებს არა ავტორიზებული ან არაკანონიერი წვდომისაგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, დაზიანებისგან, გამჟღავნებისგან ან განადგურებისგან.

10.3 პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნის ამოწურვის შემდეგ კომპანია რეგულარულად შლის და ანადგურებს პერსონალურ მონაცემებს ან იანხავს დეპერსონალიზებული სახით ანალიტიკური და სტატისტიკური მიზნებისთვის.

## 11. მონაცემთა გადაცემა მესამე მხარისთვის

11.1 პერსონალური მონაცემები მესამე პირებს შეიძლება გადაეცეთ კანონით გათვალისწინებული საფუძლის არსებობისას. მესამე პირები რომელთაც შესაძლოა გაუზიარდეთ პერსონალური ინფორმაცია შესაძლოა იყვნენ:

- კომპანიასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირები;
- მომსახურების მომწოდებლები, რომლებიც კომპანიას ეხმარებიან სახელშეკრულებო ურთიერთობის შესრულებაში;
- საგადასახადო მომსახურების პროვაიდერები და ფინანსური ინსტიტუტები, თაღლითობისა და ფინანსური დანაშაულის პრევენციისა და გამოვლენის ან სხვა კანონმდებლობით დადგენილი მიზნით;
- კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებელთა გამოცდილების ანალიზს და უკუკავშირის მოწოდებას;
- საგამომიებო, მარეგულირებელი თუ სხვა სახელმწიფო/ადმინისტრაციული ორგანოები, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება მოითხოვონ სუბიექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარება;
- კომპანიის სამართალმემკვიდრე;
- გარე აუდიტორები.

## 12. „მზა-ჩანაწერები“ (Cookies) პოლიტიკა

12.1 „მზა-ჩანაწერები“ (Cookies) წარმოადგენს მცირე ზომის ტექსტურ ფაილებს, რომელსაც ვებგვერდი თქვენი სტუმრობისას თქვენსავე კომპიუტერში ან მობილურ ტელეფონში ინახავს. „მზა-ჩანაწერები“ (Cookies) ეხმარება კომპანიას უკეთ მართოს და გააუმჯობესოს ვებგვერდის ეფექტურობა. „მზა-ჩანაწერების“ (Cookies) ფაილები ინახავს თქვენ მიერ ვებ-გვერდზე ნავიგაციასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

12.2 ჩვენი კომპანიის მიერ არ ხდება მზა-ჩანაწერების (Cookies) ფაილების შეგროვება. თუმცა გარე პარტნიორ ვებგვერდ(ებ)ზე გადამისამართებისას, შესაძლოა მათ მიერ ხდებოდეს მზა-ჩანაწერების (Cookies) შეგროვება. მოცემულ შემთხვევაში კომპანია არ არის პასუხისმგებელი მესამე პირების მიერ ქუქი (cookies) ფაილების გამოყენებაზე.

## 13. ვიდეო და აუდიო მონიტორინგის წესი

13.1 კომპანია ახორციელებს შენობის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომონიტორინგს, კომპანიაში მოქმედი „ვიდეო მონიტორინგის წესის“ შესაბამისად.

## 14. ინციდენტზე რეაგირების წესი

14.1 კომპანიის უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყონებლივ - ინციდენტის აღმოჩენისთანავე - აღრიცხოს ინციდენტი, დამდგარი შედეგი, მიღებული ზომები და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა მის შესახებ წერილობით ან ელექტრონულად შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

## 15. პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა

15.1 კომპანიის საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე და შესაბამისი საფუძვლების გათვალისწინებით, დამუშავებული მონაცემები შესაძლებელია გადაიცეს სხვა სახელმწიფოში მყოფ/დაფუძნებულ პირთან, მათ შორის, კერძო ან საჯარო ორგანიზაციებთან.

15.2 წინამდებარე პუნქტში გათვალისწინებული მიზნით, კომპანია საერთაშორისო გადაცემისთვის იღებს შემდეგ ზომებს:

- აფასებს რისკებს, რომელიც დაკავშირებულია მონაცემთა საერთაშორისო გადაცემასთან;

- აფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას მიმღებ მხარესთან, რომელიც, მათ შორის, ითვალისწინებს კომპანიისა და მიმღები მხარის უფლებამოვალეობებს, სუბიექტის უფლებების დაცვის გარანტიებსა და გადაცემის შესაბამის მეთოდებს;
- საჭიროების შემთხვევაში ათანხმებს და ნებართვას იღებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან საერთაშორისო გადაცემის თაობაზე;
- საჭიროების შემთხვევაში, აკონტროლებს გადაცემული პერსონალური მონაცემების დამუშავებას კანონმდებლობასთან თავსებადობის მიზნით, მათ შორის, გამოითხოვს ინფორმაციას დამუშავების პროცესთან დაკავშირებით.
- კომპანია აღრიცხავს მესამე პირებისათვის ინფორმაციის გაცემის ფაქტებს, თუ რა მონაცემი იქნა გაცემული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძველით.

საკონტაქტო ინფორმაცია

ტელეფონის ნომერი: **0422 40 00 10**

ელექტრონული ფოსტა: [info@laquintabatumi.com](mailto:info@laquintabatumi.com)